



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კუჭუხიძე მედეა შალვას ასული



მ. კუჭუხიძე

კუჭუხიძე მედეა შალვას ასული (10. VII. 1937, თბილისი, - 10. II. 2025, იქვე), თეატრის რეჟისორი. საქართველოვნების დამს. მოღვაწე (1976), საქართველო. სახ. არტისტი (1987). 1961 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინტის სარეჟ. ფაკ-ტი (ხელმძღვ. მ. თუმანიშვილი), 1962-71 და 1999-2003 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა იქვე. 1964-იდან მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია.

კ-ის რეჟისურა ხასიათდება თამამი შემოქმედებითი ძიებებით, მრავალფეროვანი მასალის მიმართ ინტერესით და მხატვრული იდეის სიღრმისეული წვდომით. კ-ის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია, მარჯანიშვილის თეატრში: ჩ. დიკენსის „დიდი იმედები“, ჯ. იოსელიანის

„ტაკიმასხარა“ და „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“, გონდა მონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, რ. გაბრიადისა და პ. ჩარკვიანის „ფეოლა“, პ. კაკაბაძის „სამი ასული“, „ტყის ქალები“ და „პორტოპოლოს ტუსაღები“, ტ. უილიამსის „იგუანას ღამე“, ა. აფინოგენოვის „შიში“, კ. ვოიტილას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“, ძი-იუნის „დიადი მცირეში“ და სხვ.; სოხუმის ქართულ თეატრში: ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, ვ. კორასტილიოვის „მე მჯერა შენი“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“; გრიბოდოვის თეატრში: ფ. გუდრიჩის, ა. ჰაკეტის „ანა ფრანკის დღიური“; რუსთაველის თეატრში: ტ. უილიამსის „შუშის სამხეცე“.

კ. ავტორია პიესებისა („ყბედი თუთიყუში“ და „ზღაპარ იყო“) და სამეცნ. შრომებისა: „მსახიობის ინდივიდუალობა“, „თანამედროვე თეატრის სტანდარტიზაცია“, „თეატრალური მიმდინარეობა ანტიშექსპირიზმი“, „XX ს. დასაწყისის ავანგარდთან შერწყმული ევროპული პოსტმოდერნიზმის ეპიგონური გამოხმაურებები ქართულ თეატრში“ და სხვ. კ-ის სპექტაკლები ხელს უწყობდა კულტურათა შორის დიალოგს. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლურ თეატრ. კულტურასთან დაახლოება (გასტროლები ქ. ტოკიოში, იოკოჰამასა და ამაგასაკში). მისივე ინიციატივით 1987 თბილისში მოეწყო „კაბუკის“ თეატრის გასტროლები. კ-ს ასევე შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ნორა ბერკი (ჯ. სინგის „ბინდი ველზე“; თეატრ. ინ-ტი, 1957), კამილა (ა. მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის“; მარჯანიშვილის თეატრი, 1969), მერეი (ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“; სატელევიზიო დადგმა, 1970).

მიღებული აქვს კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (1983) და ღირსების ორდენი (2000).

---